

13/12/2024



MES 8 24 0001609885

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 29/11/2024

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 19:00 სთ

სხდომის თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27² მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. თამარ ლომინაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
- 2. გოჩა თუთხერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
- 3. დავით ტეფნაძე** - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
- 4. გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 5. დავით გეგეჭკორი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- 6. ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;

7. აკაკი ხელაძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. თამარ ტუფინაშვილი – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
10. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. დიმიტრი ჯაფარიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
12. ხათუნა თოდაძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
13. ვასილ კიკუტაძე - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
14. დიანა მჭედლიშვილი – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
15. ქეთევან ნანობაშვილი – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
16. გიორგი მირიანაშვილი – შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მარიამ ბერიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა ფოთოლაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ნინო ქიქერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;

მანანა ლობჯანიძე - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

მარინა ჩავლეიშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ია ნაცვლიშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ქეთევან ჩიტალაძე - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

მერაბ ხოხობაია - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი;

აკაკი მიქაბერიძე - მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში;

ირმა მშვენიერაძე - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი;

ნუგზარ თოდუა - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;

ირაკლი კოვზანაძე - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;

ლევან საბაური - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;

თემურ შენგელია - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;

დავით წარმანია - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
დემურ სიჭინავა - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
იოსებ ხელაშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ნუგზარ პაიჭაძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ნატალია ხარაძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ეკა ჩოხელი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ნანა კაციტაძე - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
მირონ ტულუში - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ბადრი რამიშვილი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
კონსტანტინე პეტრიაშვილი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
დეა ფირცხალაიშვილი - ასისტენტ-პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნინო ნიჟარაძე - ჰუმანიტარული ფაკულტეტის, ინგლისური ენისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
მაია ალავიძე - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - "ინგლისური ფილოლოგია" ხელმძღვანელი.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ერმილე მესხია - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
სოფიო თავაძე - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
ქეთევან ვაჩიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

ანუ ანა ჯოსანი (Anu Anna Jossan) (I საკითხი);
ელენე ჯღარკავა (I საკითხი);
ეკატერინე ნაცვლიშვილი (I საკითხი);
თამარ ჩხეიძე (I საკითხი);
ნინო დავითაშვილი (I საკითხი);
თამთა ცხოვრებაძე (I საკითხი);
სოსო გაზდელიანი (I საკითხი);
ბეატრიზ პილარ ლოპეზ მედინა (Beatriz Pilar Lopez Medina) (II საკითხი);
სანდრო ტაბატაძე (II საკითხი);
რევაზ ტაბატაძე (II საკითხი);
იოსებ ლაზარაშვილი (II საკითხი);
ეკატერინე ფიფია (II საკითხი);
ალექსანდრე კალანდაძე (II საკითხი);
პაველ ზუფანი (Pavel Zufan) (III საკითხი);
რუსუდან სეთურიძე (III საკითხი);
ნინო ტალიკაძე (III საკითხი);
ლიკა კვინჩია (III საკითხი).

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო, "ადამიანური რესურსების მართვის", "ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში", "ხელოვნების მენეჯმენტის", "საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის "ხელოვნების მენეჯმენტის" სამაგისტრო (60 ECTS კრედიტი) და „ხელოვნების მენეჯმენტის“ სამაგისტრო (120 ECTS კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო, "ადამიანური რესურსების მართვის", "ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში", "ხელოვნების მენეჯმენტის", "საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის "ხელოვნების მენეჯმენტის" სამაგისტრო (60 ECTS კრედიტი) და „ხელოვნების მენეჯმენტის“ სამაგისტრო (120 ECTS კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო, "ადამიანური რესურსების მართვის", "ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში", "ხელოვნების მენეჯმენტის", "საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო და

- "ხელოვნების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ხელოვნების მენეჯმენტი
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 60
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ხელოვნების მენეჯმენტში
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

"საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტი
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 60
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ბიზნესის ადმინისტრირებაში
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

"ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 180
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს გიორგი ლაღანიძემ და ვასილ კიკუტაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, ანუ ანა ჯოსანი (Anu Anna Jossan), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ კლასტერში წარმოდგენილი იყო 8 პროგრამა. მისი თქმით, ექსპერტთა

ჯგუფი იმყოფებოდა ადგილზე და დაათვალიერა როგორც დაწესებულება, ისე „ბლუმბერგის“ ბიბლიოთეკა. პირველი ზოგადი რეკომენდაცია ეხებოდა მიმდინარე დოკუმენტაციას. მაგალითად, წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იყო გაზიარებული „EMBA“ დაკავშირებული დოკუმენტი. მეორე ზოგადი რეკომენდაცია ეხებოდა მენეჯმენტის სამუშაო დატვირთვას, რადგან ამ მიმართულებით ხარვეზი იყო, კერძოდ, ეს ეხებოდა პოლიტიკის განხორციელებას პრაქტიკაში. შესაბამისად, პოლიტიკის განხორციელებისათვის განსაზღვრული ბალანსი არ უნდა აჭარბებდეს პრაქტიკაში განხორციელებულ სამუშაო დატვირთვას. ამ მიმართულებით ბალანსი აუცილებლად უნდა იყოს დაცული. „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამა არის 240 კრედიტიანი და აუცილებელია უნივერსიტეტს ჰქონდეს ნათლად განსაზღვრული საგამოცდო ქულები. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მეშვიდე დონის „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამაში არ იყო ნათლად განმარტებული პროგრამის მიზნები. შესაბამისად, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნული პროგრამის მიზნები ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაცია გულისხმობდა ენა ყოფილიყო შესაბამისობაში, რათა კანდიდატებს შეძლებოდათ ენის ცოდნის კომპეტენციებისა და მოთხოვნების დადასტურება. ექსპერტის თქმით, პროგრამის მიზნები უნდა იყო გამოკვეთილი და განისაზღვროს EMBA და MBA სხვაობა. ასევე რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო შედეგების დიფერენციაციას და ნათლად წარმოჩენას. გარდა ამისა, შინაარსის განახლებას და თანამედროვეობასთან შესაბამისობას.

მან აღნიშნა, რომ მეშვიდე დონის EMBA პროგრამასთან მიმართებით არცერთი რეკომენდაცია არ გაცემულა, რადგან აღნიშნული პროგრამა სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. „ხელოვნების მართვის“ პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შვიდი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა მიზნების გადახედვას, მეორე რეკომენდაცია სწავლის შედეგებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ეს პროგრამა აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამაა, აუცილებელია მასში გაძლიერდეს მენეჯმენტის და კონტროლის სასწავლო კურსები. ასევე სტუდენტებში უნდა მოხდეს საკვანძო უნარების გაძლიერება, განსაკუთრებით ფინანსური საკითხების მართვასთან მიმართებით. გარდა ამისა, აუცილებელია თეორიული ცოდნა პრაქტიკულ ცოდნასთან იყოს შესაბამისი. უნივერსიტეტმა უფრო მეტად პრაქტიკულ მეცადინეობებს უნდა მიაქციოს ყურადღება.

საექსპერტო სტრატეგიების მენეჯმენტის მართვის“ პროგრამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებამ ნათლად უნდა შეიმუშაოს სტრატეგიები და კურსები. ასევე უნდა განავითაროს „გლობალური უნარები“, რადგან ეს არის საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროგრამა, რომელსაც უნდა ჰქონდეს სპეციფიკური მიზნები და მორგებული უნდა იყოს საერთაშორისო პრაქტიკაზე. რეკომენდებულია პროგრამა მოიცავდეს ისეთ უნარს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება. „ბიზნესის ადმინისტრირების“ 180 კრედიტიან პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არანაირი შენიშვნა არ ჰქონია, რადგან პროგრამა იყო კარგად შემუშავებული. ამრიგად, პროგრამების მიმართ რეკომენდაციები გაიცა არა პროგრამებში ძირეული ცვლილებების განხორციელების მიზნით, არამედ არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, შოთა ფოთოლაშვილი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აკრედიტაციის საბჭოს თხოვნით მიმართა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების დროს თუ პროგრამების მიმართ გაცემული ზოგადი რეკომენდაციები დარჩებოდა ძალაში, შინაარსობრივად კიდევ უფრო დაზუსტებულიყო. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ძირითადი რეკომენდაციები ეხებოდა „EMBA“-ს, დაწესებულება მუშაობს ამ მიმართულებით, თუმცა მნიშვნელოვანია ის, რომ პრაქტიკამ აჩვენოს მისი განვითარება. უნივერსიტეტი ექსპერტთა

ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციების ნაწილს ეთანხმება, რომელიც ადასტურებს იმას, რომ დაწესებულებას პროგრამების განვითარებისათვის ხისტი მიდგომა არ აქვს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ლობაჟანიძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში მუშაობა წარიმართა კონსტრუქციულ რეჟიმში. მისი თქმით, პროგრამების განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები. მან ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, მარინა ჩავლეიშვილს, მიმართა, რომ ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გაეკეთებინა განცხადება.

მარინა ჩავლეიშვილმა პირველ კლასტერულ, ზოგად რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისა და შეფასების“ დოკუმენტში კონკრეტულად „EMBA“ და აღმასრულებელი პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია არ იყო მოცემული. ეს დოკუმენტი სამივე საფეხურის სწავლებისას დეტალურად ასახავს იმას თუ როგორ უნდა მომზადდეს და დამტკიცდეს პროგრამა. მან აღნიშნა, რომ „EMBA“ და აღმასრულებელი პროგრამების შესახებ ინფორმაციის ასახვა „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისა და შეფასების“ დოკუმენტში პრობლემურია ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რადგან არ არსებობს ამ პროგრამების შესახებ დარგობრივი მახასიათებელი, მხოლოდ მინისტრის „N206“-ე ბრძანება ეხება ამ თემას, თუმცა სამომავლოდ რა თქმა უნდა, გაითვალისწინებს დაწესებულება აღნიშნულ საკითხს. მეორე კლასტერულ ზოგად რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ის, სქემები, რომლებიც უნივერსიტეტმა დატვირთვის კუთხით წარადგინა, მოცემული იყო ძირითად დოკუმენტებშიც. ამის შესახებ არსებობს აკადემიური საბჭოს დადგენილებაც, რომელიც მკვეთრად განსაზღვრავს თითოეული საფეხურისთვის და პროფესორისთვის ზღვრულზე მეტი საათების რაოდენობას. აკადემიური პერსონალის საათები და ანაზღაურება ორ ნაწილად არის გაყოფილი, კერძოდ, მისი შრომითი საქმიანობა ანაზღაურდება როგორც სამეცნიერო, ისე სასწავლო ნაწილის გათვალისწინებით. სამეცნიერო ნაწილთან მიმართებაში მინიმალური სტანდარტის საფუძველზე ხდება პერსონალის შეფასება. მისი თქმით, უნივერსიტეტი დოქტორანტურის საფეხურზე მუშაობს ჩარჩო დოკუმენტზე, რომელშიც ექსპერტების მოთხოვნის შესაბამისად აისახება ეს ინფორმაცია. ხელშეკრულების თანახმად, აკადემიურ პერსონალს ეკრძალება სხვა დაწესებულებაში ლექცია-სემინარების წაკითხვა. შესაბამისად, ექსპერტების შენიშვნა იმ საკითხთან დაკავშირებით თუ როგორ გააკონტროლებს დაწესებულება პროფესორი სად წაიკითხავს ლექცია-სემინარს, მოგვარებულია და პრობლემას არ წარმოადგენს. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთ კათედრას აქვს ასიმეტრიული დატვირთვა. სასწავლო კურსების დიდი ნაწილი ერთ-ერთ სემესტრში ისწავლება და ეს ხშირად იწვევს საათების გადამეტებას. უნივერსიტეტმა მიიღო შიდა რეგულაცია ფაკულტეტზე, გარკვეული ზღვრული რაოდენობა საათებისა აკადემიურმა პერსონალმა შეიძლება აიღოს. ერთი მხრივ ეს შეიძლება საათებს ზრდიდეს, თუმცა მეორე მხრივ, დაწესებულებას ჰყავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ხარისხის მიმართულებით. შეიძლება გარედან შემოსული პერსონალის ნაცვლად მნიშვნელოვანი იყოს დაწესებულების აკადემიურმა სტაფმა, რომელმაც მკაცრი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში დაიკავა ეს თანამდებობა, წაიკითხოს დამატებითი ლექცია-სემინარი გარკვეული მცირე რაოდენობის საათების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისაღები იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისთვის (განათლების მე-6 საფეხური), რომელიც ითხოვდა დეტალურად ქულობრივი შეფასების აღწერას კრიტერიუმებით. მისი თქმით, დაწესებულება ყველა სასწავლო კურსის სილაბუსს გადახედავს. შესაბამისად, უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ამ რეკომენდაციას. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კონკრეტულ

სპეციალიზაციას ეს პროგრამა არ ითვალისწინებდა, უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიზანი გახადოს ფართო. სტუდენტს აქვს კონცენტრაციების ფართო არჩევანი, რათა სურვილისამებრ გაიძლიეროს მიმართულება.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაგისტრატურაში სწავლების გასაგრძელებლად დაწესებულებას მიღების წინაპირობად განსაზღვრული აქვს ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენა. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსში მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა არის მოცემული. მისი თქმით, ათწლიანი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დოქტორანტების, რომლებიც აღნიშნულ პროგრამაზე ირიცხებიან, ძალიან დიდ ნაწილს აქვს ინგლისურენოვანი განათლება მიღებული უცხოეთში. ასევე არიან ისეთებიც, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს და თავისუფლდებიან გამოცდიდან. ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს ჰქონდა საუბარი პროგრამის ხელმძღვანელებთან და თითოეულმა მათგანმა აღნიშნა, რომ ისინი ქართულენოვან მასალებსაც აწვდიან სტუდენტებს, თუმცა დაწესებულება ყოველივე ამის საფუძველზე მაინც იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.

მარინა ჩავლეიშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულებისთვის გამოწვევა იყო აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამების არსებობა. უნივერსიტეტს არ აქვს ამ პროგრამებზე მუშაობის გამოცდილება. მხოლოდ ერთ პროგრამაზე აქვს უნივერსიტეტს სტუდენტების მიღება, რომლის მუშაობის პროცესში ბევრი რამე გაირკვევა. ძირითადად ერთწლიან აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამების რეკომენდაციებს დაწესებულება მეტ-ნაკლებად იზიარებს. პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებამ გადახედა ყველა ერთწლიანი პროგრამის მიზნებს და ის მიმართულებები, რომლებმაც ექსპერტებმა აღნიშნეს, გამოკვეთილია, თუმცა უნივერსიტეტი იზიარებს ამ რეკომენდაციას და კიდევ ერთხელ გადახედავს ყველა პროგრამის მიზანს. შედეგების გადახედვასა და ზმნების გამოყენებასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მისაღები იყო და უნივერსიტეტი გაითვალისწინებდა. HR პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებასთან მიმართებით განიმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებდა. მისი თქმით, პროგრამაზე ირიცხებიან ისეთი აპლიკანტები, რომლებსაც ხუთწლიანი ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროში მართვის გამოცდილება გააჩნიათ. შესაბამისად, პრაქტიკის დამატება ამ მიმართულებით არარელევანტური იქნება. დაწესებულება რიგ პროგრამების სასწავლო კურსებში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით იზიარებს ექსპერტების მოსაზრებას. მან აღნიშნა, რომ ენობრივი თვალსაზრისით ორ პროგრამას მიღების წინაპირობად არ ჰქონდა განსაზღვრული უცხო ენა, კერძოდ, HR და საექსპერტო სტრატეგიების მენეჯმენტის პროგრამას, შესაბამისად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას დაწესებულება დაეთანხმა. პროგრამების მიმართ გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ბევრი მათგანის გათვალისწინება მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა პროგრამების განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა როგორც დაწესებულებას, ისე ექსპერტებს ბიზნესის ადმინისტრირების 240-იან და 180-იან პროგრამებთან დაკავშირებით. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები აბსოლუტურად იდენტურია. ექსპერტებისგან მას აინტერესებდა, დაისვა თუ არა ეს კითხვა დაწესებულებასთან და მიიღეს თუ არა მათ ამ შეკითხვაზე დამაჯერებელი პასუხი, ხოლო დაწესებულებისაგან აინტერესებდა, რა იყო აღნიშნული პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების იდენტურობის მიზეზი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა ჩავლეიშვილმა განაცხადა, რომ ძველ პროგრამაში, რომელიც 240 კრედიტიანი იყო, 60

კრედიტის ფარგლებში არსებობდა „Minor“ პროგრამები. ამ უკანასკნელის გაუქმების შემდეგ, მაინც შენარჩუნდა ყველა ის სასწავლო კურსი, რომელსაც 240 კრედიტიანი პროგრამის ფარგლებში სტუდენტი გაყავდა სწავლის შედეგებზე.

საერთაშორისო ექსპერტმა, ანუ ანა ჯოსანმა (Anu Anna Jossan), აღნიშნა, რომ ანალოგიური შეკითხვა დაისვა დაწესებულებაში ვიზიტის დროსაც და მაშინ დაწესებულებამ განმარტა, რომ ამოღებული იყო სპეციალიზებული სასწავლო კურსები 180 კრედიტიანი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამიდან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ ყველა სასწავლო კურსი იყო პროგრამაში ხუთ კრედიტიანი. მაგალითად, „ბუღალტრული აღრიცხვას კომერციულ ბანკებში“ და „პროფესიონალი ბუღალტრისა და აუდიტორის ეთიკას“ ერთი და იგივე კრედიტი ეთმობა. მას აინტერესებდა, რითი აიხსნებოდა ეს საკითხი.

მარინა ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები ხუთი კრედიტის მოცულობით იყო, რომელშიც დაწესებულება პრობლემას ვერ ხედავდა. გოჩა თუთბერიძემ განმარტა, რომ მინისტრის N3 ბრძანების მიხედვით, კრედიტების მოცულობა უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე თუ რა დროს სჭირდება საშუალო უნარების მქონე სტუდენტს ამა თუ იმ საგნის ასათვისებლად. შესაბამისად, მაშინ, როდესაც ყველა კრედიტი არის ხუთ კრედიტიანი, ეს ნიშნავს, რომ ამ ბრძანების შესაბამისი არ არის.

ლევან საბაურმა განაცხადა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც დაიწყო პროფესიონალი ბუღალტრისა და აუდიტორის ეთიკის კოდექსი სწავლება. მან აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი იყო 494 გვერდი. დაწესებულება ამ კურსის ფარგლებში ყველაფრის სწავლებას ვერ ახერხებს. შესაბამისად, ამ კურსის დასაძლევად 5 კრედიტი შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს. მისი თქმით, თანამედროვე მოთხოვნებსა და მსოფლიო გამოწვევას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ დავინახავთ, რომ დღეს აქცენტირება ყველაზე მეტად გაკეთებულია ეთიკის კოდექსზე. „ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ დარგობრივი აღრიცხვა მნიშვნელოვანია. ის, რაც სოფლის მეურნეობაშია, ვაჭრობაშია, მრეწველობაშია და ა.შ. ვერ იქნება იგივე კომერციულ ბანკებშიც. ექსპერტმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ 1.5.1 რეკომენდაცია კლასტერული ხასიათის რეკომენდაციაა, რომელიც ეხება ყველა სასწავლო კურსის გადახედვას, რათა კრედიტების გადანაწილების კურსის მიზნები, მისაღწევი შედეგები სირთულის მიხედვით, ლიტერატურის ნაწილი და ა.შ. საკითხები რეალურად სწორად იყოს განსაზღვრული. მისი თქმით, ყველა სასწავლო კურსი არ არის 5 კრედიტიანი. სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია 45 საკონტაქტო საათი. 15 საათი ლექციას ეთმობა, 30 საათი პრაქტიკულ მეცადინეობას, ხოლო 80 საათი დამოუკიდებელ სამუშაოს. ერთი და იგივე სასწავლო კურსი, მაგალითად, ლიდერობა როდესაც ისწავლება ორ სხვადასხვა პროგრამაზე, პროგრამის მიზნებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე კრედიტების ნაწილი განსხვავებული და მოდიფიცირებული უნდა იყოს. ამრიგად, კრედიტები არის მექანიკურად გადანაწილებული და ამიტომ გაიცა კლასტერული რეკომენდაცია.

გოჩა თუთბერიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას მოდულებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ პროგრამებს აქვს ბევრი მოდული, რომლებშიც სასწავლო კურსები მეორდება. მაგალითად, „ორგანიზაციული ქცევა“ „ორგანიზაციული ქცევის მართვითაც“ არის წარმოდგენილი.

მარინა ჩავლეიშვილი დაეთანხმა გოჩა თუთბერიძეს მოდულებში სასწავლო კურსების გამეორებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ერთი სასწავლო კურსი იკითხება მენეჯმენტის მოდულში, ხოლო მეორე გლობალური გარემოს მენეჯმენტში. იქიდან გამომდინარე, რომ

აღნიშნულ კურსებს განსხვავებული ლიტერატურა აქვთ, გარკვეული თემები საერთო გააჩნიათ და ამიტომ არის მათ შორის თანაკვეთა, თუმცა აღნიშნულ შენიშვნას იზიარებს დაწესებულება და გადაიხედება მათი სილაბუსები.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა საერთაშორისო ექსპერტს 10 ქულიან შეფასების კომპონენტთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რა იყო ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. საერთაშორისო ექსპერტმა, ანუ ანნა ჯოსანმა აღნიშნა, რომ ამ შეკითხვაზე დამაჯერებელ პასუხს გასცემდა ეკატერინე ნაცვლიშვილი. ექსპერტმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში იყო შემთხვევა, როდესაც მაღალი შეფასება იყო მოცემული და არ იყო დეტალურად ჩამოლილი. ასევე სილაბუსებში არ იყო დაკონკრეტებული კრიტერიუმები. მაგალითად, როდის იწერებოდა ათი ქულა. შესაბამისად, აქედან გამომდინარე გაჩნდა ეს რეკომენდაცია. ანუ ანნა ჯოსანმა დაამატა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების ზოგიერთი საგნის კოლოკვიუმებზე და საბოლოო გამოცდაზე უმაღლეს ქულად განსაზღვრული იყო 9 – 10 ქულა, ხოლო ყველაზე დაბალ ქულად მოცემული იყო 0 ქულა. იმისათვის, რომ მომავალში შესაძლო გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი, რეკომენდებულია უმაღლესი ქულის ინდიკატორი ზუსტი და ნათელი იყოს.

ექსპერტმა სოსო გაზდელიანმა სრულად გაიზიარა ექსპერტ ეკა ნაცვლიშვილის მოსაზრება და აღნიშნა, რომ შეფასებები უნდა ყოფილიყო უფრო ზუსტი და გასაგები. საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ბიზნესის ადმინისტრირების ორივე პროგრამაზე წარმოდგენილია ათი მოდული და თითოეულ მოდულს გააჩნია ათი სწავლის შედეგი. მას აინტერესებდა, რამდენ სწავლის შედეგზე გადიოდა სტუდენტი და როგორ ხდებოდა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება.

მარინა ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან ცოტა პროცენტი ეჭირა აღნიშნულ პროგრამებში არჩევით კურსებს. დიდი ყურადღება ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს. დაწესებულებამ პროგრამების შექმნის დროს საჭიროდ ჩათვალა, რომ ის პატარა მოდულები, რომლებიც სტუდენტს ასწავლის კონკრეტული მიმართულებით დამატებით სასწავლო კურსებს, არსებობდეს. უნივერსიტეტმა წარმოადგინა იმის შესახებ ინფორმაცია, რომ სტუდენტი როდესაც დაამთავრებდა კონკრეტულ მოდულს, რა მიმართულებით გაიღრმავებდა შემდეგ ცოდნას. რა თქმა უნდა, კურსებში განსაზღვრული სწავლის შედეგები მიბმულია პროგრამის ძირითად შედეგებს და დამოუკიდებლად ისინი არ არსებობს. ამრიგად, განმსაზღვრელი არის არა მოდულისა და მასში არსებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, არამედ პროგრამის.

საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, „ხელოვნების მენეჯმენტისა“ და „ადამიანური რესურსების მართვის“ პროგრამის ბაზრის კვლევის ანგარიში სტრუქტურულად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მაგალითად, ერთში წარმოდგენილი იყო მონაწილეთა პროფილი, ხოლო მეორეში არა. მას აინტერესებდა, იყო თუ არა ჩატარებული აღნიშნული ბაზრის კვლევა ერთი სტრუქტურული ერთეულის მიერ და რით აიხსნებოდა ეს განსხვავება.

ნატალია ხარაძემ აღნიშნა, რომ ხელოვნების მიმართულებით ბაზრის კვლევა ჩატარდა შესაბამისი მიმართულების დაწესებულებებში. შესაბამისი კითხვარი და ანალიზი კი მოცემულია კვლევის ანალიზში, რომელიც უნივერსიტეტმა წარმოადგინა. აკაკი ხელაძემ, კითხვით მიმართა როგორც დაწესებულებას, ისე ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ როდესაც გაეცნო აღმასრულებელი მაგისტრის პროგრამის ბიუჯეტს, ყველა მონაცემი იყო იდენტური. მაგალითად, სტუდენტთა რაოდენობა, ანაზღაურება, გაცვლითი პროგრამები, პრაქტიკა და ექსპედიცია. მას აინტერესებდა, რამდენად ვალიდური იყო აღნიშნული ბიუჯეტი.

აკაკი მიქაბერიძემ განაცხადა, რომ დაწესებულება ბიუჯეტის ფორმირების დროს, განსაკუთრებით შემოსავლების ნაწილში, ეყრდნობა სტუდენტთა მისაღებ რაოდენობის მაჩვენებელს. შესაბამისად, დაგეგმილი შემოსავალი ერთი და იგივე იქნება. ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წინასწარ შეუძლებელია იმის განსაზღვრა თუ რა ხარჯი იქნება მოწვეული და აკადემიური პერსონალის ნაწილში გათვალისწინებული. გაცვლითი

პროგრამების ნაწილთა მიმართებით განმარტა, რომ პროპორციულად იყოფა ხარჯვითი ნაწილი სტუდენტების რიცხოვნობის მიხედვით. ბიუჯეტი არის ერთი წლის მონაცემებზე გათვლილი და რასაკვირველია, როგორც ფაკულტეტი, ისე მთლიანად უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ პროგრამებს კონკრეტული წლის საპროგნოზო მაჩვენებლებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

საერთაშორისო ექსპერტმა, ანუ ანა ჯოსანმა (Anu Anna Jossan) აღნიშნა, რომ რეკომენდებული იყო უნივერსიტეტის მიერ მონიტორინგი ახალ პროგრამებში სტუდენტის ჩაბარების ტენდენციების შესახებ, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ბიუჯეტის გადანაწილებასთან ეფექტურად ხარჯების მართვის მიზნით. საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამების განხილვისას განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს აღმასრულებელი პროგრამები, რომლებიც პირდაპირ პასუხობს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნებს და საზოგადოებრივ საჭიროებებს. მან აღნიშნა, რომ EMBA-ს და MBA-ს შორის განსხვავება სამიზნე აუდიტორიასა, პროგრამის დიზაინსა და მიწოდებაში მდგომარეობს. მას აინტერესებდა, ეს პროგრამები რა მოდელით იყო ორგანიზებული.

მარინა ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ მაგისტრატურის საფეხურზე სასწავლო პროცესი 18:00 საათიდან იწყება და სამ ცვლაში მიმდინარეობს, მათ შორის, შაბათ დღეს. შესაბამისად, ამ მხრივ ცვლილებების განხორციელება აღნიშნულ პროგრამებზე პრობლემას არ წარმოშობს. ასეთი სასწავლო პროცესი სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს სამუშაოსთან სწავლის თავსებადობას.

დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მისი ყურადღება პროგრამებში მიიპყრო პროგრამის ხელმძღვანელთა დიდმა რაოდენობამ. მას აინტერესებდა, რა პრინციპი უდევს საფუძვლად მათ საქმიანობას პროგრამის ხელმძღვანელების რანგში.

მარინა ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ სამივე პროგრამას ჰყავს მრავალრიცხოვანი ხელმძღვანელი. ეს ძირითადად განპირობებული არის იმით, რომ ყველა პროფესორი საკუთარი კონცენტრაციებითა და მოდულებით არის ჩართული პროგრამაში. შესაბამისად, თუ ვინმემ შექმნა ან წარმოადგინა ახალი კონცენტრაცია ან მოდული, ის პროგრამის ხელმძღვანელობაში იღებს მონაწილეობას. სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში, გარდა ხელმძღვანელებისა, გამოყოფილია კოორდინატორი.

საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამაზე არა მხოლოდ ხელმძღვანელების, არამედ აკადემიური პერსონალის დიდი რაოდენობაა. მას აინტერესებდა, რამდენი აქტიური სტუდენტი სწავლობდა აღნიშნულ პროგრამაზე.

მარინა ჩავლეიშვილმა განაცხადა, რომ ამჟამად პროგრამაზე იყო 72 აქტიური სტუდენტი.

დიმიტრი ჯაფარიძემ ბიზნესის ადმინისტრირების 240 კრედიტიან პროგრამის ორგანიზების ნაწილთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სტრუქტურაში არჩევითი საგნები წარმოდგენილია პირველ და მეხუთე სემესტრში. პირველ სემესტრში რიგი თავისუფალი სასწავლო კურსების კომპონენტი მოითხოვს წინაპირობებს, რომლის განხორციელება პირველ სემესტრში შეიძლება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მას აინტერესებდა, რა აზრის იყო უნივერსიტეტი ამ საკითხთან დაკავშირებით.

მარინა ჩავლეიშვილი დაეთანხმა დიმიტრი ჯაფარიძის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ამ საკითხზე უფიქრია. დაწესებულებას სურდა ცვლილების განხორციელება, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა გაშვებული იყო ვეღარ განხორციელდა, თუმცა უნივერსიტეტი ამ საკითხს მხედველობაში იღებს და მომავალში გამოასწორებს.

დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ კლასტერში ფასეულია აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამები. მისი თქმით, ერთ-ერთ პროგრამაში, რომელიც არის ადამიანური რესურსების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ საჭირო იყოს კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით აღმასრულებელი პროგრამების თანამედროვე ტენდენციებთან ორიენტირება. შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არის ძალიან ძლიერი ტენდენციები იმისა, რომ

ეს პროგრამები სულ იყოს და სრულად შესაბამისობაში მოვიდეს განვითარების ბოლო მიმართულებებთან. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაში დაინახა ციფრული ტექნოლოგიების დანაკლისი, რადგან ზოგიერთ ფაილის დოკუმენტს არ უხსნიდა. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.

მარინა ჩავლეიშვილმა განაცხადა, რომ ამ მიმართულებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რჩევა, რომელიც უნივერსიტეტმა გაიზიარა.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ, პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმებთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, არსებობს კლასტერული რეკომენდაცია, რომელიც ეხება EMBA-ი პროგრამებს. ამის გათვალისწინებით ცხრილში ყველა პროგრამა 1.3 ქვესტანდარტის მიხედვით არის მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან. მას აინტერესებდა, იყო თუ არა ეს ტექნიკური უზუსტობა.

საერთაშორისო ექსპერტმა, ანუ ანა ჯოსანმა (Anu Anna Jossan) აღნიშნა, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო ტექნიკური ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, "ხელოვნების მენეჯმენტის" აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამის მიმართ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა მაგისტრის ხარისხის მისაღებად საჭირო სწავლის შედეგებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, რომლებიც მითითებულია მენეჯმენტის დარგობრივ მახასიათებელში, რათა დაიფაროს რეკომენდებული მინიმალური კომპეტენციები“. მას აინტერესებდა, წარმოდგენილი სახით ეს პროგრამა ფარავდა თუ არა დარგობრივ მახასიათებელში მითითებულ მინიმალურ კომპეტენციებს.

ექსპერტმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ ის იზიარებდა უნივერსიტეტის მოსაზრებას იმ ნაწილში, რომ EMBA-ისთვის არ არსებობს დარგობრივი მახასიათებელი და მხოლოდ მწირი საკანონმდებლო რეგულაციებია. მისი თქმით, არსებობს ისეთი დარგობრივი მახასიათებელი შემუშავებული მენეჯმენტისა და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებისათვის, რომელიც შეიძლება გავრცელდეს აღნიშნულ აღმასრულებელ პროგრამაზე. ამრიგად, სწავლის შედეგები არ უნდა იყოს ისეთი ტიპით ფორმულირებული, როგორიც ახლა არის. ბაზრის კვლევა რომ ჩატარდა და სეგმენტი განისაზღვრა, მაშინვე უნდა ყოფილიყო ფოკუსირება მიზანზე და სწავლის შედეგებზე. ასევე იმ საკითხზე თუ ვის ამზადებდა პროგრამა. პრაქტიკის დამატებას ექსპერტები არ ითხოვდნენ. აქ იყო საუბარი მხოლოდ პრაქტიკული კვლევითი პროექტის დამატებაზე. ამრიგად, პროგრამა დარგობრივ მახასიათებელში მოცემულ მინიმალურ კომპეტენციებს ფარავს ფორმალური თვალთახედვით, თუმცა საჭიროა გაძლიერება.

საერთაშორისო ექსპერტმა, ანუ ანა ჯოსანმა (Anu Anna Jossan) დაამატა, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფართო კომპეტენციები მენეჯმენტსა და კონტროლში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:50

დასრულების დრო: 16:40

პროგრამა 1: "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შეფასების და ზეპირი მოსმენის დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, არ გაითვალისწინა კლასტერულად გაცემული რეკომენდაცია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის და 1.3 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან, ამოღებულ იქნა კლასტერული რეკომენდაცია - "1.3.1

რეკომენდებულია გადაიხედოს "საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისა და შეფასების" დოკუმენტი, რათა იგი შეიცავდეს კონკრეტულ მითითებებს აღმასრულებელ პროგრამებზე როგორცაა EMBA.ეს უზრუნველყოფს განახლებულ დოკუმენტში ზუსტად აისახოს EMBA პროგრამების ისეთი უნიკალური ასპექტები, როგორცაა პრაქტიკული შეფასებებისა და აღმასრულებელი დონის სწავლის შედეგები".

ასევე 1.5 კომპონენტში არსებული რჩევა:

"1.5.1. სასურველია ყველა კურსის გადახედვა კრედიტების მოცულობის დასადგენად, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: კურსის მიზნები და მისაღწევი სწავლის შედეგები, გასაშუქებელი თემები, შესასრულებელი ამოცანების ინტენსივობა, მოცულობა და სირთულე, სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსების მოცულობა და სირთულე და მიღწევების შეფასების სპეციფიკა." -

გადაიტანა კლასტერულ რეკომენდაციაში და კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

ამასთან, 2.4 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია: - "რეკომენდებულია, რომ კონკრეტული საგამოცდო დავალების მაქსიმალური შეფასება განისაზღვროს 10 ქულით და ამ მიზნით შემუშავდეს დიფერენცირებული შეფასების კრიტერიუმები." - დაკორექტირდა შემდეგი სახით:

კერძოდ, 1.5 კომპონენტში არსებული კლასტერული რჩევა - "სასურველია, კურსების სილაბუსების გადახედვა, რათა განისაზღვროს შესაბამისი შეფასების მეთოდები/ ინსტრუმენტები კურსების დადგენილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისა და შესაფასებლად." - გადავიდა 2.4 კომპონენტში და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

"რეკომენდებულია, კურსების სილაბუსების გადახედვა, რათა განისაზღვროს შესაბამისი შეფასების მეთოდები/ ინსტრუმენტები კურსების დადგენილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისა და შესაფასებლად." ამან არ გამოიწვია სტანდარტის შეფასების ცვლილება

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 29 ნოემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 29 ნოემბრამდე.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პერსონალის სამუშაო დატვირთვის დაბალანსება, რათა შესაძლებლობა მიეცეს პერსონალს ეფექტურად მართოს სასწავლო, კვლევითი და სხვა ვალდებულებები, გადატვირთვის გარეშე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საგანმანათლებლო პროცესისა და კვლევითი შედეგების ხარისხზე, არასასწავლო დატვირთვისა და ასევე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დატვირთვის გათვალისწინებით.
2. რეკომენდებულია ყველა კურსის გადახედვა კრედიტების მოცულობის დასადგენად, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: კურსის მიზნები და მისაღწევი სწავლის შედეგები, გასაშუქებელი თემები, შესასრულებელი ამოცანების ინტენსივობა, მოცულობა და სირთულე, სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსების მოცულობა და სირთულე და მიღწევების შედეგები.
3. რეკომენდებულია კურსების სილაბუსების გადახედვა, რათა განისაზღვროს შესაბამისი შეფასების მეთოდები/ ინსტრუმენტები კურსების დადგენილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისა და შესაფასებლად.

რჩევები:

1. სასურველია ფოკუსირება ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებაზე გლობალური პერსპექტივებისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამაში ჩართვის გზით - მაგალითად, საერთაშორისო შემთხვევების შესწავლის, მსოფლიო დონის ექსპერტების სახელმძღვანელოებისა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობითი პროექტების გამოყენებით - პროგრამის შინაარსის სისტემატიურად განახლებასთან, ერთად, რათა აისახოს განვითარების უახლოესი ტენდენციები ინდუსტრიაში.
2. სასურველია შემუშავდეს და დაინერგოს სპეციფიკური სტრატეგიები საერთაშორისო სტუდენტთა კულტურული და საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. აღნიშნული სტრატეგიები შესაძლოა მოიცავდეს ადაპტირებულ პედაგოგიურ მეთოდებს, გაძლიერებულ ლინგვისტურ მხარდაჭერას, ასევე კულტურულად ადაპტირებულ სასწავლო პრაქტიკას.
3. სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს მოწვეული პერსონალის ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით ინიციატივებსა და აქტივობებში, სწავლებისა და კვლევის პროცესში დარგთან დაკავშირებული უახლესი ცოდნის უკეთ ინკორპორირების მიზნით.
4. სასურველია აკადემიური პერსონალის დაქირავებისას, დაწესებულებამ დაამყაროს მკაფიო და გამჭვირვალე კომუნიკაცია აკადემიური პერსონალის დაქირავებისას გამოყენებულ შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს თითოეული პერსონალის კარგად ინფორმირებულობა.
5. სასურველია აუდიტორიაში კომპიუტერებისა და ინვენტარის ხარისხის განახლება და კამპუსის გარშემო განახლებულ ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ინვენტარზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მიმდინარე საგანმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და სტუდენტების სწავლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად.
6. სასურველია კამპუსზე სასწავლო სივრცეებისა და სტუდენტებისათვის განკუთვნილი ტერიტორიების რაოდენობის გაფართოება, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტების მეტ ჩართულობასა და აკადემიურ მუშაობას.
7. წახალისდეს ადმინისტრაციის მხრიდან დროული რეაგირება სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებსა და გამოთქმულ პრობლემებზე პორტალის საშუალებით და გაღრმავდეს დეპარტამენტებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის კოორდინაცია.
8. სასურველია დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა ინგლისურ ენაზე აკადემიურ წერის გასაუმჯობესებლად, მეტი რესურსის გამოყოფა ინგლისური ენის

გასაუმჯობესებლად, ასევე აკადემიური მხარდაჭერის პროგრამების გაზრდა სოც. დაუცველი სტუდენტებისთვის, რათა მათ მიიღონ საჭირო დახმარება წარმატების მისაღწევად.

9. სასურველია, სტუდენტების ჩარიცხვების ტენდენციების მონიტორინგი ახალ (EMBA და 180 ECTS) პროგრამებზე და ბიუჯეტის რეგულირება საჭიროებისამებრ, რომ უფრო ეფექტურად მოხდეს თანხების მართვა.
10. შესაძლოა უფრო სასარგებლო იყოს სამეცნიერო და კვლევითი ხარჯების რეგულარული გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღალი სამეცნიერო გავლენის მქონე კვლევების მხარდაჭერა.
11. სასურველია შემუშავდეს სტრატეგია პროგრამებისა და ფაკულტეტის განვითარების პროცესებში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა მონაწილეობის სტიმულირებისა და ეფექტურობისთვის გაზრდისათვის.
12. პროგრამისთვის ძალიან სასარგებლოა თუ მოხდება და გათვალისწინებული იქნება პროგრამების რეგულარული გარე კოლეგიალური შეფასება.
13. სააუდიტორიო დაკვირვება შიდა ან გარე კოლეგების მიერ შეიძლება იყოს ღირებული მექანიზმი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად.
14. სასურველია უფრო თანამედროვე თემების ინტეგრირება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, მდგრადობის პრაქტიკები და მონაცემთა ანალიტიკა.
15. სასურველია სპეციალიზებული კურსების ან მოდულების შემოტანა, რომლებიც ორიენტირებული იქნება ციფრული ბიზნესის ინსტრუმენტებზე, თანამედროვე მდგრადობის სტრატეგიებსა და მონაცემებზე ორიენტირებულ გადაწყვეტილების მიღებაზე, რათა პროგრამა შეესაბამებოდეს ინდუსტრიის მიმდინარე ტენდენციებს.

პროგრამა 2: "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შეფასების და ზეპირი მოსმენის დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, არ გაითვალისწინა კლასტერულად გაცემული რეკომენდაცია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის და 1.3 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან, ამოღებულ იქნა კლასტერული რეკომენდაცია - "1.3.1 რეკომენდებულია გადაიხედოს "საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისა და შეფასების" დოკუმენტი, რათა იგი შეიცავდეს კონკრეტულ მითითებებს აღმასრულებელ პროგრამებზე როგორიცაა EMBA.ეს უზრუნველყოფს განახლებულ დოკუმენტში ზუსტად აისახოს EMBA პროგრამების ისეთი უნიკალური ასპექტები, როგორიცაა პრაქტიკული შეფასებებისა და აღმასრულებელი დონის სწავლის შედეგები".

ასევე 1.5 კომპონენტში არსებული რჩევა:

"1.5.1. სასურველია ყველა კურსის გადახედვა კრედიტების მოცულობის დასადგენად, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: კურსის მიზნები და მისაღწევი სწავლის შედეგები, გასაშუქებელი თემები, შესასრულებელი ამოცანების ინტენსივობა, მოცულობა და სირთულე, სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსების მოცულობა და სირთულე და მიღწევების შეფასების სპეციფიკა." -

გადაიტანა კლასტერულ რეკომენდაციაში და კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

ამასთან, 2.4 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია: - "რეკომენდებულია, რომ კონკრეტული საგამოცდო დავალების მაქსიმალური შეფასება განისაზღვროს 10 ქულით და ამ მიზნით შემუშავდეს დიფერენცირებული შეფასების კრიტერიუმები." - დაკორექტირდა შემდეგი სახით:

კერძოდ, 1.5 კომპონენტში არსებული კლასტერული რჩევა - "სასურველია, კურსების სილაბუსების გადახედვა, რათა განისაზღვროს შესაბამისი შეფასების მეთოდები/ ინსტრუმენტები კურსების დადგენილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისა და შესაფასებლად." - გადავიდა 2.4 კომპონენტში და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

"რეკომენდებულია, კურსების სილაბუსების გადახედვა, რათა განისაზღვროს შესაბამისი შეფასების მეთოდები/ ინსტრუმენტები კურსების დადგენილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისა და შესაფასებლად." ამან არ გამოწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 29 ნოემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 29 ნოემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია ყველა კურსის გადახედვა კრედიტების მოცულობის დასადგენად, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: კურსის მიზნები და მისაღწევი სწავლის შედეგები, გასაშუქებელი თემები, შესასრულებელი ამოცანების ინტენსივობა, მოცულობა და სირთულე, სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსების მოცულობა და სირთულე და მიღწევების შეფასების სპეციფიკა.
2. რეკომენდებულია პერსონალის სამუშაო დატვირთვის დაბალანსება, რათა შესაძლებლობა მიეცეს პერსონალს ეფექტურად მართოს სასწავლო, კვლევითი და სხვა ვალდებულებები,

გადატვირთვის გარეშე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საგანმანათლებლო პროცესისა და კვლევითი შედეგების ხარისხზე, არასასწავლო დატვირთვისა და ასევე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დატვირთვის გათვალისწინებით.

3. რეკომენდებულია კურსების სილაბუსების გადახედვა, რათა განისაზღვროს შესაბამისი შეფასების მეთოდები/ ინსტრუმენტები კურსების დადგენილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისა და შესაფასებლად
4. რეკომენდებულია, რომ მეტად განიმარტოს ნათლად ჩამოყალიბებული ამოცანები, რათა მიეთითოს MBA პროგრამის შეჯიბრებით უპირატესობებზე და იდენტიფიცირდეს ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელთაც მიიღებენ კურსდამთავრებულები.

რჩევები:

1. სასურველია სამაგისტრო და EMBA პროგრამების სათაურებისა და მიზნების მკაფიო გამიჯვნა, რათა თავიდან იქნას აცილებული დაბნეულობა, რადგან სამაგისტრო პროგრამები ფოკუსირებულია თეორიულ და აკადემიურ უნარებზე, ხოლო EMBA პროგრამები ხაზს უსვამს პრაქტიკულ, სტრატეგიულ ლიდერობას გამოცდილი პროფესიონალებისთვის.
2. სასურველია განახლდეს EMBA პროგრამის დოკუმენტაცია, რათა ნათლად იყოს ნათქვამი, რომ პროგრამა მოიცავს ქვესთაურ პროექტს, რომელიც კონცენტრირებულია პრაქტიკულ გამოყენებებზე და რეალურ სამყაროში არსებული პრობლემების გადაჭრაზე, რითაც ის განსხვავდება თეორიული სამეცნიერო კვლევებისგან.
3. სასურველია ფოკუსირება ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებაზე გლობალური პერსპექტივებისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამაში ჩართვის გზით - მაგალითად, საერთაშორისო შემთხვევების შესწავლის, მსოფლიო დონის ექსპერტების სახელმძღვანელოებისა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობითი პროექტების გამოყენებით - პროგრამის შინაარსის სისტემატიურად განახლებასთან ერთად, რათა აისახოს განვითარების უახლოესი ტენდენციები ინდუსტრიაში.
4. სასურველია კურსების სილაბუსების გადახედვა, რათა განისაზღვროს შესაბამისი შეფასების მეთოდები/ ინსტრუმენტები კურსების დადგენილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისა და შესაფასებლად.
5. სასურველია შემუშავდეს და დაინერგოს სპეციფიკური სტრატეგიები საერთაშორისო სტუდენტთა კულტურული და საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. აღნიშნული სტრატეგიები შესაძლოა მოიცავდეს ადაპტირებულ პედაგოგიურ მეთოდებს, გაძლიერებულ ლინგვისტურ მხარდაჭერას, ასევე კულტურულად ადაპტირებულ სასწავლო პრაქტიკას.
6. სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს მოწვეული პერსონალის ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით ინიციატივებსა და აქტივობებში, სწავლებისა და კვლევის პროცესში დარგთან დაკავშირებული უახლესი ცოდნის უკეთ ინკორპორირების მიზნით.
7. სასურველია აკადემიური პერსონალის დაქირავებისას, დაწესებულებამ დაამყაროს მკაფიო და გამჭვირვალე კომუნიკაცია აკადემიური პერსონალის დაქირავებისას გამოყენებულ შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს თითოეული პერსონალის კარგად ინფორმირებულობა.
18. სასურველია გაიზარდოს ჩართულობა ინდუსტრიიდან დაინტერესებულ მხარეთა უფრო ფართო სპექტრთან, მათ შორის საწყობებთან და ლოგისტიკურ კომპანიებთან, რათა პროგრამაში უზრუნველყოფილ იქნას მრავალფეროვანი პერსპექტივები და პრაქტიკული შეხედულებები.
19. საექსპორტო სტრატეგიების პროგრამაში EMBA-ის სტრუქტურისა და შინაარსის გაფართოებით საერთო შედეგების გასაუმჯობესებლად, სასურველია ექსპორტის ფინანსების სპეციალური კურსის ინტეგრირება, (არა როგორც რომელიმე კურსის შვილობილი), რომელშიც მოცული იქნება სავაჭრო დაფინანსება, ექსპორტის კრედიტების ფინანსები, რისკების მართვა და ვალუტის რყევები.ეს უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტებმა შეიძინონ ფინანსური პრინციპების სრულყოფილი გაგება, რომლებიც აუცილებელია ეფექტური საექსპორტო სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელებისთვის.
20. პროგრამის მხარდასაჭერად დაშვების წინაპირობები უნდა მოიცავდეს სტუდენტთა პროფესიულ გამოცდილებას შესაბამის სფეროში (ვაჭრობა/ საერთაშორისო ვაჭრობა, მეწარმეობა, ბიზნესი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და ა.შ.).

პროგრამა 8: "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შეფასების და ზეპირი მოსმენის დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, 1.5 კომპონენტში არსებული რჩევა:

1.5.1. სასურველია ყველა კურსის გადახედვა კრედიტების მოცულობის დასადგენად, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: კურსის მიზნები და მისაღწევი სწავლის შედეგები, გასაშუქებელი თემები, შესასრულებელი ამოცანების ინტენსივობა, მოცულობა და სირთულე, სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსების მოცულობა და სირთულე და მიღწევების შეფასების სპეციფიკა." -

გადაიტანა კლასტერულ რეკომენდაციაში და კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

ამასთან, 2.4 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია: - "რეკომენდებულია, რომ კონკრეტული საგამოცდო დავალების მაქსიმალური შეფასება განისაზღვროს 10 ქულით და ამ მიზნით შემუშავდეს დიფერენცირებული შეფასების კრიტერიუმები." - დაკორექტირდა შემდეგი სახით: კერძოდ, 1.5 კომპონენტში არსებული კლასტერული რჩევა - "სასურველია, კურსების სილაბუსების გადახედვა, რათა განისაზღვროს შესაბამისი შეფასების მეთოდები/ ინსტრუმენტები კურსების დადგენილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისა და შესაფასებლად." - გადავიდა 2.4 კომპონენტში და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

"რეკომენდებულია, კურსების სილაბუსების გადახედვა, რათა განისაზღვროს შესაბამისი შეფასების მეთოდები/ ინსტრუმენტები კურსების დადგენილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისა და შესაფასებლად."

ამან არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 29 ნოემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 29 ნოემბრამდე.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია ყველა კურსის გადახედვა კრედიტების მოცულობის დასადგენად, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: კურსის მიზნები და მისაღწევი სწავლის შედეგები, გასაშუქებელი თემები, შესასრულებელი ამოცანების ინტენსივობა, მოცულობა და სირთულე, სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსების მოცულობა და სირთულე და მიღწევების შეფასების სპეციფიკა.
2. რეკომენდებულია კურსების სილაბუსების გადახედვა, რათა განისაზღვროს შესაბამისი შეფასების მეთოდები/ ინსტრუმენტები კურსების დადგენილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისა და შესაფასებლად
3. რეკომენდებულია პერსონალის სამუშაო დატვირთვის დაბალანსება, რათა შესაძლებლობა მიეცეს პერსონალს ეფექტურად მართოს სასწავლო, კვლევითი და სხვა ვალდებულებები, გადატვირთვის გარეშე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საგანმანათლებლო პროცესისა და კვლევითი შედეგების ხარისხზე, არასასწავლო დატვირთვისა და ასევე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დატვირთვის გათვალისწინებით.

რჩევები:

1. სასურველია ფოკუსირება ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებაზე გლობალური პერსპექტივებისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამაში ჩართვის გზით - მაგალითად, საერთაშორისო შემთხვევების შესწავლის, მსოფლიო დონის ექსპერტების სახელმძღვანელოებისა და საერთაშორისო პარტნიორობთან თანამშრომლობითი პროექტების გამოყენებით - პროგრამის შინაარსის სისტემატიურად განახლებასთან ერთად, რათა აისახოს განვითარების უახლოესი ტენდენციები ინდუსტრიაში.
2. სასურველია კურსების სილაბუსების გადახედვა, რათა განისაზღვროს შესაბამისი შეფასების მეთოდები/ ინსტრუმენტები კურსების დადგენილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისა და შესაფასებლად.
3. სასურველია შემუშავდეს და დაინერგოს სპეციფიკური სტრატეგიები საერთაშორისო სტუდენტთა კულტურული და საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. აღნიშნული სტრატეგიები შესაძლოა მოიცავდეს ადაპტირებულ პედაგოგიურ მეთოდებს, გაძლიერებულ ლინგვისტურ მხარდაჭერას, ასევე კულტურულად ადაპტირებულ სასწავლო პრაქტიკას.
4. სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს მოწვეული პერსონალის ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით ინიციატივებსა და აქტივობებში, სწავლებისა და კვლევის პროცესში დარგთან დაკავშირებული უახლესი ცოდნის უკეთ ინკორპორირების მიზნით.
5. სასურველია აკადემიური პერსონალის დაქირავებისას, დაწესებულებამ დაამყაროს მკაფიო და გამჭვირვალე კომუნიკაცია აკადემიური პერსონალის დაქირავებისას გამოყენებულ შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს თითოეული პერსონალის კარგად ინფორმირებულობა.
6. სასურველია აუდიტორიაში კომპიუტერებისა და ინვენტარის ხარისხის განახლება და კამპუსის გარშემო განახლებულ ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ინვენტარზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მიმდინარე საგანმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და სტუდენტების სწავლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად.
7. სასურველია კამპუსზე სასწავლო სივრცეებისა და სტუდენტებისათვის განკუთვნილი ტერიტორიების რაოდენობის გაფართოება, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტების მეტ ჩართულობასა და აკადემიურ მუშაობას.
8. წახალისდეს ადმინისტრაციის მხრიდან დროული რეაგირება სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებსა და გამოთქმულ პრობლემებზე პორტალის საშუალებით და გაღრმავდეს დეპარტამენტებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის კოორდინაცია.
9. სასურველია დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა ინგლისურ ენაზე აკადემიურ წერის გასაუმჯობესებლად, მეტი რესურსის გამოყოფა ინგლისური ენის

გასაუმჯობესებლად, ასევე აკადემიური მხარდაჭერის პროგრამების გაზრდა სოც. დაუცველი სტუდენტებისთვის, რათა მათ მიიღონ საჭირო დახმარება წარმატების მისაღწევად.

10. სასურველია, სტუდენტების ჩარიცხვების ტენდენციების მონიტორინგი ახალ (EMBA და 180 ECTS) პროგრამებზე და ბიუჯეტის რეგულირება საჭიროებისამებრ, რომ უფრო ეფექტურად მოხდეს თანხების მართვა.
11. შესაძლოა უფრო სასარგებლო იყოს სამეცნიერო და კვლევითი ხარჯების რეგულარული გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღალი სამეცნიერო გავლენის მქონე კვლევების მხარდაჭერა.
12. სასურველია შემუშავდეს სტრატეგია პროგრამებისა და ფაკულტეტის განვითარების პროცესებში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა მონაწილეობის სტიმულირებისა და ეფექტურობისთვის გაზრდისათვის.
13. პროგრამისთვის ძალიან სასარგებლოა თუ მოხდება და გათვალისწინებული იქნება პროგრამების რეგულარული გარე კოლეგიალური შეფასება.
14. სააუდიტორიო დაკვირვება შიდა ან გარე კოლეგების მიერ შეიძლება იყოს ღირებული მექანიზმი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად.
15. სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განახლება, რათა მოცულ იქნას ისეთი თანამედროვე თემები, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, მონაცემთა ანალიტიკა და სტრატეგიული ინოვაციები.
16. სასურველია არჩევითი საგნების ვარიანტების გაზრდა, რათა სტუდენტებს მიეცეთ უფრო სპეციალიზებული ცოდნა და უნარები, რომლებიც მორგებული იქნება განვითარებადი ინდუსტრიის საჭიროებებზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე აღნიშნული გადაწყვეტილებების ძალაში შევიდა 2024 წლის 29 ნოემბერს.

სხდომაზე გამოცხადდა 15 წუთიანი შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 17:00 სთ-ზე.

მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ინგლისური ფილოლოგია
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ინგლისური
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 120
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგიაში
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0231 - ენის დაუფლება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა დავით გეგეჭკორმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, ბეატრის ლოპეზ მედინა (Beatriz López Medina), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს დიდი ისტორია ინგლისური ფილოლოგიის სწავლებისა, თუმცა გამოიკვეთა რიგი გამოსასწორებელი საკითხები. მისი თქმით, 1.2 და 1.4 სტანდარტებთან მიმართებით გაიცა რეკომენდაციები. რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების განვითარებას, რომელსაც აკლდა სპეციფიკურობა და აღწერა. ლინგვისტიკის მიმართულებით გამოსაკვეთი იყო სხვადასხვა რიგი საკითხები. ინგლისური ენის გრამატიკასთან მიმართებით მითითებული იყო, რომ გათვალისწინებულია პრაქტიკული აქტივობები სტუდენტებისთვის, თუმცა რა სახის აქტივობები იყო გათვალისწინებული არ ეწერა. ასევე რეკომენდაცია გაიცა ლიტერატურის განახლების, სხვადასხვა მასალის შეცვლისა და ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნით. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა კვლევის მეთოდოლოგიას და შესაბამისი კვლევითი მეთოდების სწავლებას პირველ კურსზე, რათა სტუდენტმა შეძლოს მცირე კვლევების ჩატარება. ასევე რეკომენდაცია ეხებოდა ამ საკითხის სტუდენტის მიერ სიღრმისეულად ცოდნას და მინიმალური კვლევის ჩატარებას ისეთ საგანში, როგორიცაა „ინგლისური ენის სემანტიკა“. შეფასება და აქტივობა შეესაბამება სტუდენტის დონეს და მის უნარებს. მისი თქმით, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტუდენტებისთვის საჭიროა სპეციალობაში გამოცდის ჩატარება. საერთაშორისო დოკუმენტები უნდა იქნეს აღიარებული უნივერსიტეტში. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები, რომელთა ძირითადი ნაწილი ეხებოდა ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებას. ერთ-ერთი რჩევა ეხებოდა ინტერნაციონალიზაციის საკითხს, კერძოდ, სასურველია სტუდენტების საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობა. ასევე რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების რესურსებით უზრუნველყოფას, სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო კვლევით კონფერენციებში. მისი თქმით, სასურველია დაწესებულებამ გაუკეთოს პოპულარიზაცია იმ სტუდენტებს, რომლებიც კვლევითი საქმიანობით არიან დაკავებული, რათა ყველასთვის ხილვადი იყოს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არ გაცემულა არცერთი რეკომენდაცია და რჩევა. უნივერსიტეტის შენობა ექსპერტთა ჯგუფისთვის იყო შთამბეჭდავი. მისი თქმით, დაწესებულება არის მდგრადი, რომელსაც არ გაუჭირდება გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულება.

ექსპერტმა, რევაზ ტაბატაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ ამბობდა იმას, რომ სტუდენტები არ ატარებდნენ გარკვეულ კვლევებს საგნების ფარგლებში. აქ საუბარი იყო იმაზე, რომ სხვადასხვა სასწავლო კურსში ინტეგრირებული ყოფილიყო მცირე კვლევები, რომლებიც განუვითარებდა სტუდენტებს მათზე მუშაობის უნარებს. ერთ-ერთ საგანზე, კერძოდ, „კვლევის მეთოდები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში“, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ დაზუსტებულიყო მისი სახელი და პროგრამაში შესულიყო „ლინგვისტიკასა და ლიტერატურის კვლევის მეთოდების“ სახელით. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა არა ლინგვისტიკის ამოღებას და ჩანაცვლებას სოციოლინგვისტიკით, არამედ გამოყენებითი

ლინგვისტიკის ამოღებას პროგრამიდან და მის ჩანაცვლებას საგნით სოციოლინგვისტიკა. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს იმ გამოცდილებას, რომელიც დაწესებულებას გააჩნია ამ მიმართულებით სწავლების და მიიჩნევს, რომ პროგრამის დეკლარირებული სასწავლო შედეგები მიღწევადია, რომელსაც განაპირობებს მაღალკვალიფიციური პერსონალი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულებას ჰქონდა ინგლისური ფილოლოგიის ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა, რომლის სტუდენტების აკადემიური მოსწრებით ექსპერტები გაოცებულნი იყვნენ. ეს მეტყველებდა ერთ ფაქტზე, რომ დაწესებულება ამ მიმართულების განვითარებისათვის ძალიან ბევრს მუშაობდა. პროგრამის მიმართ გაიცა 12 რეკომენდაცია, რომლიდანაც უნივერსიტეტმა მხოლოდ 10 რეკომენდაცია გაიზიარა. ექსპერტთა ჯგუფმა მხედველობაში მიიღო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია ორ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ეს ორი რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში. მან აღნიშნა, რომ რიგ სასწავლო კურსებში, კერძოდ, „ლინგვისტურ პრაგმატიკასა“ და „ლინგვისტურ სტილისტიკაში“ უნდა დაემატოს ახალი ლიტერატურა. დაწესებულებას თურქეთიდან ჰყავს მოწვეული პროფესორი, რომელიც აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს უცხოელი პროფესორების რიცხვი პროგრამაში, რაც მეტად განავითარებს სტუდენტების კომპეტენციას და გააძლიერებს ინტერნაციონალიზაციის ხარისხს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, თეა კორძაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, გაცემული რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისათვის არის გამიზნული. დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციებს და აქვს მისი შესრულების გეგმა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია ალავიძემ განაცხადა, რომ ეს პროგრამა ორგანიზაციულად და სტრუქტურირებულადაა ჩამოყალიბებული და შეიქმნა ქართული პროგრამის ანალოგიით. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წლიდან ფუნქციონირებს ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც ძალიან ბევრი წარმატებული კურსდამთავრებული ჰყავს. ქართულენოვანი პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდა კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, მარგარეტ დენსნუ, რომელიც არის კურიკულუმის დიზაინის ექსპერტი. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისათვის, რომელიც ორ რეკომენდაციას ეხებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური დისკურსის ერთი და ორის გაერთიანებას. ეს კურსები ემსახურება კვლევის უნარის განვითარებას, რომელიც სამაგისტრო პროგრამის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. ექსპერტების მხრიდან სწორად იქნა შენიშვნები გაცემული იმ საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა გამოყენებითი ლინგვისტიკის ჩანაცვლება სოციოლინგვისტიკით. ასევე ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა გაიზიარა ექსპერტების მოსაზრება და შეიძინა შეთავაზებული ლიტერატურა. მან აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში მონაწილეობს თურქი პროფესორი, ვედი აშქეროღლუ. ასევე პროგრამის განხორციელების პროცესში ჩაერთო ჯოზეფ ვუდი, რომელიც მუშაობს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამაში. სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ბევრი სტუდენტი მონაწილეობს Erasmus+ პროგრამაში. ასევე სამი აკადემიური პერსონალი არის პროექტების განვითარებაში ჩართული, თუმცა რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მოითხოვს გაუმჯობესებას და დაწესებულება იმუშავებს ამ კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნაში მოცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია „აკადემიური დისკურსი 1“ და

„აკადემიური დისკურსი 2" გაერთიანდეს ერთ საგნად - „აკადემიური დისკურსი". მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსებს გააჩნია სხვადასხვა სწავლის შედეგები და ლიტერატურა. მას აინტერესებდა, რა გახდა ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. ექსპერტმა რევაზ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ ახალი დასკვნის მიხედვით ეს რეკომენდაცია რჩევაში გადავიდა, რადგან ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა როგორც დაწესებულებას, ისე ექსპერტებს. მისი თქმით, პროგრამა ანიჭებს ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრის აკადემიურ ხარისხს ინგლისურ ფილოლოგიაში. პროგრამის მიზნებში დაკონკრეტებულია, რომ პროგრამა ემსახურება მაგისტრანტის ჩამოყალიბებას მაღალი კომპეტენციის მქონე ფილოლოგ ანგლისტად, რომელსაც ექნება ინგლისური ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების ღრმა და სისტემური ცოდნა. შედეგებშიც ხაზგასმულია, რომ კურსდამთავრებული ახასიათებს ლინგვისტიკის ცალკეულ დარგების თეორიებს, ახდენს თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ინტერპრეტირებას თეორიულ რეკონსტრუქციის ჭრილში და ა.შ. მას აინტერესებდა, რამდენად მოიცავდა პროგრამა 0231-ის დეტალური სფეროს კვალიფიკაციის მინიჭებას. ასევე რომელი კომპონენტები უწყობს ხელს ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრის ინგლისურ ფილოლოგიაში კვალიფიკაციაში მინიჭებას.

საერთაშორისო ექსპერტმა, ბეატრის ლოპეზ მედინამ (Beatriz López Medina) აღნიშნა, რომ პროგრამა მოიცავდა ჯვარედინ ლინგვისტურ უნარებს, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებდა იმ უნარებს, რომლებიც დაეხმარებოდა სხვადასხვა გარემოში სირთულეების გადალახვაში. მან 0231 დეტალური სფეროს კვალიფიკაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არ ფლობდა ამის შესახებ ინფორმაციას და რევაზ ტაბატაძეს მიმართა, რომ გაეკეთებინა განმარტება.

ექსპერტმა რევაზ ტაბატაძემ განაცხადა, რომ მოწოდებულ დოკუმენტაციაში მითითებულია ვიწრო სფერო ენის დაუფლება, ის პასუხობს და მოიცავს კულტურის ლიტერატურის, ლინგვისტიკის და ფონეტიკის შესწავლას. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრობლემა არ არსებობს. შესაბამისად, იმ კომპეტენციების გათვალისწინებით, რაც უვითარებს პროგრამა სტუდენტს, პროგრამა შესაბამისია როგორც ვიწრო სფეროს კოდთან, ისე კურიკულუმთან.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია ალავიძემ აღნიშნა, რომ სრულად იზიარებდა ექსპერტ რევაზ ტაბატაძის მოსაზრებას. მისი თქმით, კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერი ზუსტად განსაზღვრავს იმ კომპეტენციებს, რომლებსაც პროგრამა თავისი აგებულებით იძლევა. ექსპერტმა სანდრო ტაბატაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაისვა კითხვა იმის შესახებ თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ ახალი ინგლისურენოვანი პროგრამის შემუშავება. მისი თქმით, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს ანიჭებს კვალიფიკაციას 0231.1.2-ში. უნივერსიტეტი ინგლისურ ფილოლოგიას უყურებს უფრო ფართო სფეროდ, კერძოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ნაწილს.

ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ პროგრამას ჰქონდა თავისი სპეციფიკა. პროგრამა ლინგვისტიკის მიმართულებით არის განვითარებული და ამიტომაც მას შეესაბამება ის კვალიფიკაცია, რომელიც პროგრამით არის განსაზღვრული.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ამჟამად რამდენი მოქმედი Erasmus+-ის ხელშეკრულება იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა კორძაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ამჟამად 39 მოქმედი Erasmus+-ის ხელშეკრულება აქვს. ბევრი სტუდენტი და კურსდამთავრებული იყენებს პროგრამის ფარგლებში ამ შესაძლებლობას, რაც მისასალმებელია.

მაია ალავიძემ დაამატა, რომ დაწესებულებას აქვს მემორანდუმი გაფორმებული „სამხრეთ უელსის უნივერსიტეტთან“, რომელიც ყოველწლიურად სამ სტუდენტს აფინანსებს 100%-ით. ამჟამად ორი სტუდენტი სწავლობს ამ უნივერსიტეტში. ასევე მომავალში იგეგმება პერსონალის გაცვლაც. ამ უნივერსიტეტში ცალკე არ ისწავლება ინგლისური ენის ფილოლოგია, თუმცა

არსებობს განათლების მაგისტრატურა ინგლისური ენის სწავლების კუთხით. ამ უკანასკნელი სკოლიდან უნივერსიტეტმა ძალიან ბევრი რჩევა მიიღო პროგრამის შემუშავების პროცესში და მათ შორის იმ საგნების ჩამონათვალის შესახებ, რომელიც საბოლოო ჯამში შევიდა პროგრამაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შეხვედრა

დაწყების დრო: 17:40

დასრულების დრო: 18:00

აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შეფასების და ზეპირი მოსმენის დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული შეფასება და რეკომენდაციები.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2030 წლის 01 მაისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 მაისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია საგანი „გამოყენებითი ლინგვისტიკის“ ამოღება პროგრამის ძირითადი საგნების სეგმენტიდან და ჩანაცვლება სხვა, დარგთან დაკავშირებული საგნით, მაგ. სოციოლინგვისტიკით; 1.4
2. რეკომენდებულია კურსის „კვლევის მეთოდები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში“ სახელწოდების შეცვლა შემდეგნაირად - „კვლევის მეთოდები ენათმეცნიერებასა და ლიტერატურაში“. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სილაბუსის გადახედვა სოციალურ მეცნიერებებში კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული ქართულენოვანი მასალის ამოღებისა და ლიტერატურული კვლევის მეთოდებზე მასალის ჩამატების მიზნით. 1.5
3. რეკომენდებულია კურსების გადახედვა და ლიტერატურის განახლება; 1.5
4. პროგრამის რამდენიმე ძირითად საგანში განხორციელებული პრაქტიკული სამუშაოს სახე და მახასიათებლები ბუნდოვანია (მაგ. ინგლისური დრამის პოეტიკა). ამიტომ, რეკომენდებულია,

- რომ პრაქტიკულ აქტივობებთან/სამუშაოებთან დაკავშირებით კონკრეტული დეტალები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული იმ სილაბუსებში, რომლებშიც ასეთი მიდგომაა დანერგილი. 1.5
5. რეკომენდებულია დაზუსტდეს, თუ რომელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერთიფიკატებს იღებს უნივერსიტეტი, შესაბამისი ქულების ან/და დონის მითითებით; 2.1
6. სპეციალობაში გამოცდის ჩაბარება რეკომენდებულია როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო აპლიკანტებისთვის. 2.1
7. რეკომენდებულია გაიზარდოს იმ საგნების რაოდენობა, რომელიც შეფასების კომპონენტად მოიცავს მცირე კვლევას (მაგ., ისეთ საგნებში, როგორიცაა ლინგვოპრაგმატიკა, ინგლისური რომანის პოეტიკა და სხვა). ამის ხელშესაწყობად შესაძლებელია კურსი „კვლევის მეთოდები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში“, შინაარსისა და სახელწოდების შესაძლო ცვლილებებით, გადავიდეს პირველ სემესტრში; 2.2
8. „დისკურსის ანალიზის“ სილაბუსის ავტორისთვის რეკომენდებულია, გამოიყენოს სათანადო შეფასების კომპონენტი, რომელიც ეფექტურად შეაფასებს მეექვსე სწავლის შედეგს - „წინასწარ განსაზღვრულ პირობებში კვლევის ჩატარება“. ეს უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ კონკრეტულ პარამეტრებში კვლევის ჩატარების უნარის ადეკვატურად გაზომვას, რაც ამ შეფასებას უფრო მეტად შესაბამისობაში მოიყვანს კურსის სწავლის შედეგებთან; 2.4.
9. „გამოყენებითი ლინგვისტიკის“, „ინგლისური სემანტიკის“ და „ლინგვოპრაგმატიკის“ კურსების ავტორებისთვის რეკომენდებულია, რომ გაზარდონ კონსტრუქციული პასუხის ერთეულების პროპორცია სამაგისტრო დონეზე შეფასებებში, რათა უკეთ განავითარონ უფრო მაღალი დონის აზროვნების უნარები და უპასუხონ ბლუმის ტაქსონომიის ზედა დონეებს, როგორიცაა ანალიზი, შეფასება და შექმნა, რაც აუცილებელია სიღრმისეული აკადემიური და პროფესიული კომპეტენციისთვის; 2.4.
10. რეკომენდირებულია გაიზარდოს კვლევით სფეროში ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობით (თუ შესაძლებელია) ან სხვა ინიციატივებით, რომლებიც დაკავშირებულია ინოვაციებთან, როგორიცაა Erasmus+. 4.1

რჩევები:

1. სასურველია, „აკადემიური დისკურსი 1“ და „აკადემიური დისკურსი 2“-ის გაერთიანება ერთ საგანში სახელად - „აკადემიური დისკურსი“; 1.4
2. სასურველია, ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარებაზე ორიენტირებული ორი საგნის - ინგლისური ენა C1/1-ის და ინგლისური ენა C1/2-ის - ინტეგრირება პროგრამის არჩევით საგნებში ; 1.4
3. სასურველია, პროგრამაში მეტი უცხოელი პროფესორის ჩართვა ; 1.4.
4. მიზანშეწონილია, რეაგირება მოახდინოთ პოტენციურ მიკერძოებასთან დაკავშირებულ ვარაუდებსა თუ სტუდენტთა შესაძლებლობაზე, შემლონ ზეპირი გამოცდების შედეგების გასაჩივრება; სასურველია, რომ ასეთი შეფასებებისთვის დამატებითი ზომები შემოიღოთ, მაგალითად, გამოყენებითი ლინგვისტიკის კურსის მსგავს საგნებზე რამდენიმე შემფასებლის ჩართვა; 2.3.
5. ინგლისური ლირიკის პოეტიკა, ინგლისური დრამის პოეტიკა და მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი და ინტერპრეტაცია სილაბუსის დონეზე მეტ დაკონკრეტებას საჭიროებს; 2.4
6. სასურველია, რომ ინგლისური დრამის პოეტიკის სილაბუსის მე-2 დანართი ითარგმნოს ინგლისურ ენაზე საერთაშორისო სტუდენტებისთვის; ეს უზრუნველყოფს მათ ზუსტ ინფორმირებულობას შეფასების რუბრიკებზე; 2.3
7. ტექნიკური სიზუსტისთვის სასურველია, რომ გადაიხედოს პროგრამის სახელწოდება კურსის სილაბუსში „შედარებითი მსოფლიო ეპოსი: გმირის პრობლემა „ . 2.3
8. სასურველია, რომ სასწავლო გეგმის შემმუშავებელმა ჯგუფმა, განაახლოს „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსი და ტერმინი „პლაგიატი“ ჩაანაცვლოს „მსგავსებით“. ეს ცვლილება სილაბუსს უფრო მეტად შესაბამისობაში მოიყვანს სამაგისტრო ნაშრომის პოლიტიკისა და

შეფასების რეგულაციებთან და ამგვარად თავიდან აიცილებს პოტენციურ გაუგებრობებს სტუდენტებში; 2.3.

9. მიზანშეწონილია საკლასო აქტივობებში მონაწილეობისა და ჯგუფური დისკუსიების შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება ისეთ კურსებში, როგორიცაა ინგლისური ლირიკის პოეტიკა, ინგლისური დრამის პოეტიკა, ლინგვოსტილისტიკა და დარგის ფილოსოფია. გადახედეთ აუდიტორიაში აქტიურობისთვის 30 ქულის გამოყოფას, რათა დარწმუნდეთ რომ ის პროპორციულია და შეესაბამება შეფასების საერთო სტრატეგიას ან განსაზღვრეთ „საკლასო აქტივობაში მონაწილეობისა“ და „ჯგუფური დისკუსიის“ შეფასების რუბრიკებს შორის არსებული შეუსაბამოებები; 2.3

10. ვინაიდან პროგრამა ისწავლება ინგლისურ ენაზე, მიზანშეწონილია, რომ უსდ-მ ინტენსიურად იმუშაოს ამ პროგრამის სტუდენტების საერთაშორისო მობილობის და/ან სხვა საერთაშორისო აქტივობებში ჩასართავად; ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას; 3.1.

11. მიზანშეწონილია, გააუმჯობესოთ უსდ-ს კომუნიკაციის სტრატეგიები და გაზარდოთ სტუდენტთა ცნობიერება მხარდაჭერის არსებული სერვისების, კერძოდ კი ომბუდსმენის ოფისის არსებობის თაობაზე; 3.1.

12. სასურველია, არსებულ კითხვარებში, დაწესებულებამ დაამატოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული დეტალური კითხვები ან ამისათვის ცალკე კითხვარი შეიმუშაოს; 3.2.

13. მიზანშეწონილია, რომ პროფესორების სამუშაო დატვირთვის მითითებისას კვლევისგან გამოყოთ მათი მენეჯერული პოზიცია; 4.1.

14. სასურველია, სამომავლო შეფასებისთვის, პედაგოგთა რეზიუმეებში მკაფიოდ განაცალკევოთ კონფერენციებში მონაწილეობა „გამოქვეყნებული სტატიების“ ნაწილისგან. სტატიების გამოცემის ნაწილში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გამოცემის წელი (volume), ნომერი და გვერდის ნომრები; 4.1.

15. მოვუწოდებთ კურიკულუმის განვითარების გუნდს, რომ ხელი შეუწყოს სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების მეტ ერთობლივ პუბლიკაციებს, რომლებიც საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოიცემა; 4.1.

16. კურიკულუმის განვითარების გუნდმა სასურველია პროგრამაზე მოიზიდოს მეტი საერთაშორისო პერსონალი; 4.1.

17. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმაზე, როგორიცაა Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus, და Clarivate; 4.2.

18. მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე წიგნების ელექტრონული შეკვეთის ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება; 4.3

19. სასურველია სტუდენტებს უფრო ნათლად მიაწოდოთ ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მათი გამოყენების წესების შესახებ. 4.3

მესამე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის "ხელოვნების მენეჯმენტის" სამაგისტრო (60 ECTS კრედიტი) და „ხელოვნების მენეჯმენტის“ სამაგისტრო (120 ECTS კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

"ხელოვნების მენეჯმენტის" სამაგისტრო (60 ECTS კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ხელოვნების მენეჯმენტი

2. საფეხური - მაგისტრატურა

3. სწავლების ენა - ქართული

4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 60

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ხელოვნების მენეჯმენტში

5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

„ხელოვნების მენეჯმენტის“ სამაგისტრო (120 ECTS კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ხელოვნების მენეჯმენტი

2. საფეხური - მაგისტრატურა

3. სწავლების ენა - ქართული

4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 120

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნების მენეჯმენტის მაგისტრი

5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, პაველ ზუფანი (Pavel Zufan), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ზოგადი შეფასება პროგრამების მიმართ იყო დადებითი. მთავარი კითხვა, რომელიც ექსპერტების მიერ დაისვა ვიზიტის დროს, პროგრამებს შორის ძირითად განსხვავებას ეხებოდა. მისი თქმით, 120 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამა იყო კარგად შემუშავებული და შესაბამისი სტანდარტებთან, ხოლო 60 კრედიტიან პროგრამაში ზოგიერთი ძირითადი კურსი ამოღებული იყო. მაგალითად, „სამაგისტრო ნაშრომი“ ჩანაცვლებული იყო ხელოვნების მართვასთან დაკავშირებული კურსით. საბოლოო ჯამში პროგრამების მიმართ გაიცა 6 რეკომენდაცია, რომლებიც ეხებოდა სწავლის შედეგებისა და მიზნების უფრო მეტად დახვეწას. ამრიგად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის 120 კრედიტიან „ხელოვნების მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის მიმართ ექსპერტთა დასკვნა დადებითია, ხოლო 60 კრედიტიან „ხელოვნების მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით არსებობს შენიშვნები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, სოფიო თავაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ ყველა რეკომენდაციას. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ერმილე მესხიამ განაცხადა, რომ საერთაშორისო ექსპერტის მიერ გაჟღერებული არ ყოფილა ის რეკომენდაცია, რომელიც

დასკვნაშია მოცემული. მან აკრედიტაციის საბჭოს წევრებს თხოვნით მიმართა, რომ ეს საკითხი საბოლოო გადაწყვეტილების დროს გაეთვალისწინებინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, 60 კრედიტიანი პროგრამა შინაარსით არის 120 კრედიტიანი პროგრამა, რადგან ყველა სავალდებულო კურსი, რომელიც მოცემულია 120 კრედიტიან პროგრამაში, ასევე მოცემულია 60 კრედიტიან პროგრამაშიც, ხოლო 60 კრედიტიანის არჩევითი კურსები „კულტურული მემკვიდრეობის მართვა“ და „ინოვაციების მენეჯმენტი“ არის 120 კრედიტიანის სავალდებულო კურსები. უნივერსიტეტს პროგრამაზე მიღების წინაპირობაში მითითებული აქვს - გამოცდილება მართვის სფეროში. საბჭოს წევრი დაინტერესდა, გაყიდვების მენეჯერი - კონსულტანტი ითვლებოდა თუ არა გამოცდილებად მართვის სფეროში. მისი თქმით, „სტრატეგიული მენეჯმენტის“ კურსში ლიტერატურად მითითებულია ის სახელმძღვანელო, რომლითაც ბაკალავრის საფეხურის მქონე სტუდენტები ხელმძღვანელობენ. ასეთივე პრობლემა არის „პროექტების მენეჯმენტი ხელოვნების სფეროში“, რადგან მითითებული ლიტერატურა საკმაოდ მოძველებული და არარელევანტურია ამ კურსთან მიმართებით. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. ასევე დასძინა რომ ჯერ სტუდენტმა უნდა იცოდეს ზოგადად პროექტების მენეჯმენტი, შემდეგ უნდა შეიცნოს თავისებურებები პროექტების მენეჯმენტზე, ხოლო ბოლოს უნდა ისწავლოს თუ როგორია მენეჯმენტის თავისებურება ხელოვნების სფეროში.

ერმილე მესხიამ „სტრატეგიულ მენეჯმენტთან“, „მარკეტინგთან“ და „რეკლამასთან“ დაკავშირებით განაცხადა, რომ გიორგი ღაღანიძის პოზიციას იზიარებდა. მისი თქმით, ერთ-ერთი პროგრამის განხილვის დროს მოხდა ასეთი შემთხვევა, რომ პროფესიული პროგრამისათვის გათვალისწინებული კურსი იყო შეტანილი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში და როდესაც საბჭოს წევრებმა დასვეს კითხვა, შეიძლებოდა თუ არა პროფესიული პროგრამისათვის გათვალისწინებული კურსი ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე, საბჭოს წევრების ხმები გაიყო რადგან ამას არ კრძალავდა საქართველოს კანონმდებლობა. დაწესებულება იზიარებს იმ აზრს, რომ აკადემიური, პროფესიული და მაგისტრატურის დონე გამიჯნული უნდა იყოს. გარდა ამისა, დონეების მიხედვით უნდა არსებობდეს შესაბამისი ლიტერატურა. მისი თქმით, 60 კრედიტიან პროგრამაში, კერძოდ, მიღების წინაპირობების ნაწილში უმჯობესი იქნებოდა ჩამატებული ყოფილიყო სიტყვა „დარგის“. შესაბამისად, დაწესებულება ამას გაითვალისწინებს.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, 60 კრედიტიან პროგრამასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, პროექტის მახასიათებელი ტექნიკური პარამეტრები რას უნდა აკმაყოფილებდეს. ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ პროექტისა და დასკვნითი პროექტის შემთხვევაში გვერდების რაოდენობა არ არის განსაზღვრული, თუმცა სასწავლო კურსში დეტალურად არის გაწერილი ის თუ რას ითხოვს კურსი სტუდენტისაგან, კერძოდ, რა ტიპის სამუშაო და კვლევები უნდა შეასრულოს. პროექტის შემთხვევაში არ არის აუცილებელი გვერდების რაოდენობის განსაზღვრა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 18:28

დასრულებისდრო: 18:55

აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შეფასების და ზეპირი მოსმენის დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, დაამატა კლასტერული რეკომენდაცია 1.5 კომპონენტში, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა შედეგად არ შეცვლილა პირველი სტანდარტის შეფასება და ის „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, საბჭომ

ასევე დაამატა რეკომენდაცია 2.1 კომპონენტში 60 კრედიტიან პროგრამასთან მიმართებით, თუმცა შედეგად არ შეცვლილა მეორე სტანდარტის შეფასება და ის „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

პროგრამა 1: "ხელოვნების მენეჯმენტის" სამაგისტრო (60 ECTS კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის "ხელოვნების მენეჯმენტის" სამაგისტრო (60 ECTS კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 29 ნოემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ემუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის "ხელოვნების მენეჯმენტის" სამაგისტრო (60 ECTS კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 29 ნოემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნები ისე, რომ რეალისტურად ასახავდეს კურსის სტრუქტურას და წარმოადგენდეს პროგრამის კონკრეტულ მიზანს;
2. რეკომენდებულია, უფრო კონკრეტულად აისახოს სტუდენტების გამოცდილება რომელსაც პროგრამა ეფუძნება და მიზნად ისახავს მათ შემდგომ განვითარებას;
3. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
4. რეკომენდებულია, ხელახლა გადაიხედოს კურსის შინაარსი და ორიენტირება მოხდეს ხელოვნების მენეჯმენტის პრაქტიკოსებისგან მოსალოდნელი უნარების უზრუნველყოფაზე;
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსები მოიცავდეს უფრო ინტერაქტიულ, ინტენსიურ და პრაქტიკული სწავლების მეთოდებს, რაც ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული დონის პრობლემების გადაჭრას;
6. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების სტრუქტურირება იმისათვის, რომ მკაფიოდ განისაზღვროს ცოდნა და გაცნობიერება, უნარები და ასახოს სტუდენტის პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;
7. რეკომენდებულია სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოვიდეს ლიტერატურა სასწავლო კურსებში: სტრატეგიული მენეჯმენტი, ოპერაციული მენეჯმენტი, მარკეტინგი და რეკლამა;

8. რეკომენდებულია, შემუშავდეს უფრო დეტალური დოკუმენტი საგანმანათლებლო პროგრამებში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ, პროგრამის სპეციფიკის და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით;
9. რეკომენდებულია, კურსის სილაბუსებში მკაფიოდ განისაზღვროს კონკრეტული კურსების შეფასება და შეფასების მექანიზმები;
10. რეკომენდებულია, ინგლისური ენის და ციფრული უნარების სწავლების გაძლიერება სპეციალური კურსების და მოკლევადიანი ინტენსიური პროგრამების შემოღებით, რომლებიც ძირითადად ორიენტირებული იქნება ინგლისური ენის ცოდნის და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაზე (მაგ. ERP სისტემები) და სოციალური მედიის მართვის უნარების განვითარებაზე;
11. რეკომენდებულია, უფრო დეტალური გამოკვლევა, თუ როგორ ხედავენ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები სამეცნიერო კვლევის კომპონენტს და თავიანთი კვლევისთვის მიღებულ მხარდაჭერას. ვინაიდან ადგილზე განხორციელებულმა გასაუბრებებმა ვერ უზრუნველყო აღნიშნულ ასპექტებზე მკაფიო უკუკავშირი, სტუდენტებისგან მეტი ინფორმაციის შეგროვება ხელს შეუწყობს გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენას და გააძლიერებს მათ ჩართულობას პროგრამის კვლევის ელემენტებში;

რჩევები:

1. სასურველია, კურსდამთავრებულთა პროფილების შემუშავება, რომლებშიც აღწერილი იქნება ტიპური პოზიციები, რომლებისთვისაც მზადდებიან სტუდენტები;
2. სასურველია, ხელახლა განიხილოთ ორ პროგრამას შორის სწავლის შედეგების დიფერენცირების რეალური დონე;
3. დაწესებულებას შეუძლია შეიმუშაოს რუკა, სადაც მკაფიოდ იქნება ასახული პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობა (როგორც ეს უკვე გაკეთებული აქვს დაწესებულებას სწავლის შედეგების მიღწევის და კონკრეტული სასწავლო კურსების შესაბამისობის რუკით);
4. სასურველია, გაითვალისწინოთ უფრო პროაქტიული მიდგომა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებაზე მუშაობის დროს და მათი შემდგომი გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად;
5. სასურველია, შეიმუშაოთ სტუდენტის ინტერესების მიხედვით შერჩეული არჩევითი სასწავლო კურსები, რაც გააძლიერებს პროგრამით სტუდენტების კმაყოფილებას;
6. სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ დაკონკრეტდეს სტუდენტის დავალებები თითოეული კურსის მიხედვით, იმისათვის, რომ დაზუსტდეს თუ რა მოეთხოვებათ სტუდენტებს კონკრეტული კურსის ფარგლებში;
7. მეტი სიცხადისთვის სასურველია დაზუსტდეს დოკუმენტის სახეები, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის მტკიცებულებად;
8. სასურველია დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემა, რათა ხელი შეუწყოს მაგისტრანტების აქტიურ ჩართულობას აღნიშნულ ინიციატივებში;
9. სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს უნივერსიტეტის საინფორმაციო სისტემა არსებული პლატფორმის დახვეწით, განახლებების და მომხმარებლისთვის მარტივად გამოყენებადი რესურსების მიწოდებით;
10. სასურველია, გაუმჯობესდეს სტუდენტთა უკუკავშირის შეგროვების და ანალიზის სისტემა მათი ხელმძღვანელობის გამოცდილების შესახებ;
11. სასურველია გადაიხედოს ნაშრომებთან დაკავშირებული საკითხების დამტკიცების მექანიზმები, რათა პროცესი გამარტივდეს და უფრო მოქნილი გახდეს;
12. პროფესიული ზრდის და აკადემიური გარემოს გაუმჯობესების მიზნით სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ცალკეული დისციპლინების მიხედვით მიზნობრივი ტრენინგები;

13. სასურველია, ბიბლიოთეკამ შეიმუშაოს სასწავლო მოდულები ინფორმაციის მოძიების; საინფორმაციო წიგნიერების; აკადემიურ წყაროებზე მუშაობის და სხვა საკითხების შესახებ და ფართოდ წაახალისოს აღნიშნულ ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობა მათი საინფორმაციო წიგნიერების გაუმჯობესების მიზნით (4.4);
14. სასურველია, დაწესებულებამ გაზარდოს ფინანსური მხარდაჭერისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი, რათა უკეთესად აღჭურვოს პროგრამა საჭირო რესურსებით და ფინანსებით საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისა და პერსონალისთვის, განსაზღვროს მკაფიო კრიტერიუმები და პროცესები თანაბარი ხელმისაწვდომობის და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად;
15. სასურველია, დაწესებულებამ გაზარდოს სარეკლამო ხარჯები მეტი პოტენციური სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მოსაზიდად, რამაც შესაძლოა გააუმჯობესოს გრძელვადიან პერსპექტივაში პროგრამის მდგრადობა;
16. სასურველია, დაწესებულებამ განახორციელოს სტრუქტურირებული უკუკავშირის ციკლები, რათა უზრუნველყოს პერსონალთან და ფაკულტეტთან მიღწევების შეფასებების უკუკავშირის დაუყოვნებლივ გაზიარება.
17. დაწესებულება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ შეფასების შედეგები სათანადოდ არის განხილული და გათვალისწინებული შემდგომი განვითარებისთვის. რეგულარული და ყოვლისმომცველი უკუკავშირი იძლევა მუდმივი გაუმჯობესების და ინსტიტუციურ მიზნებთან უკეთესად შესაბამისობის შესაძლებლობას. სასურველია, დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს დაინტერესებულ მხარეებთან სისტემატურ თანამშრომლობას, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებით, რათა ერთობლივად უზრუნველყოს საკითხების ეფექტურად გადაჭრა;
18. სასურველია, ყოვლისმომცველი და საფუძვლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად, მომავალი გარე შეფასებები ითვალისწინებდეს უფრო მეტ ექსპერტს. შემფასებლების რაოდენობის გაზრდა და შეფასებების სისტემატიურად ჩატარება გააუმჯობესებს უკუკავშირის ხარისხს. გარდა ამისა, უცხოელი ექსპერტის ჩართვა, თუ შესაძლებელია, უნივერსიტეტს შესთავაზებს ღირებულ საერთაშორისო პერსპექტივებს და დაეხმარება მათ შესაბამისობაში მოვიდნენ გლობალურ სტანდარტებთან და გამოავლინონ გასაუმჯობესებელი სფეროები, რაც შეიძლება არ იყოს თვალსაჩინო ადგილობრივი პერსპექტივიდან.

პროგრამა 2: „ხელოვნების მენეჯმენტის“ სამაგისტრო (120 ECTS კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის "ხელოვნების მენეჯმენტის" სამაგისტრო (120 ECTS კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 29 ნოემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ემუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის "ხელოვნების მენეჯმენტის" სამაგისტრო (120 ECTS კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 29 ნოემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნები ისე, რომ რეალისტურად ასახავდეს კურსის სტრუქტურას და წარმოადგენდეს პროგრამის კონკრეტულ მიზანს;
2. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების სტრუქტურირება იმისათვის, რომ მკაფიოდ განისაზღვროს ცოდნა და გაცნობიერება, უნარები და ასახოს სტუდენტის პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (1.2);
3. რეკომენდებულია სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოვიდეს ლიტერატურა სასწავლო კურსებში: სტრატეგიული მენეჯმენტი, ოპერაციული მენეჯმენტი, მარკეტინგი და რეკლამა;
4. რეკომენდებულია, შემუშავდეს უფრო დეტალური დოკუმენტი საგანმანათლებლო პროგრამებში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ, პროგრამის სპეციფიკის და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით;
5. რეკომენდებულია, კურსის სილაბუსებში მკაფიოდ განისაზღვროს კონკრეტული კურსების შეფასება და შეფასების მექანიზმები;
6. რეკომენდებულია, ინგლისური ენის და ციფრული უნარების სწავლების გაძლიერება სპეციალური კურსების და მოკლევადიანი ინტენსიური პროგრამების შემოღებით, რომლებიც ძირითადად ორიენტირებული იქნება ინგლისური ენის ცოდნის და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაზე (მაგ. ERP სისტემები) და სოციალური მედიის მართვის უნარების განვითარებაზე;
7. რეკომენდებულია, უფრო დეტალური გამოკვლევა, თუ როგორ ხედავენ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები სამეცნიერო კვლევის კომპონენტს და თავიანთი კვლევისთვის მიღებულ მხარდაჭერას. ვინაიდან ადგილზე განხორციელებულმა გასაუბრებებმა ვერ უზრუნველყო აღნიშნულ ასპექტებზე მკაფიო უკუკავშირი, სტუდენტებისგან მეტი ინფორმაციის შეგროვება ხელს შეუწყობს გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენას და გააძლიერებს მათ ჩართულობას პროგრამის კვლევის ელემენტებში.

რჩევები:

1. სასურველია, კურსდამთავრებულთა პროფილების შემუშავება, რომლებშიც აღწერილი იქნება ტიპური პოზიციები, რომლებისთვისაც მზადდებიან სტუდენტები;
2. სასურველია, ხელახლა განიხილოთ ორ პროგრამას შორის სწავლის შედეგების დიფერენცირების რეალური დონე;
3. დაწესებულებას შეუძლია შეიმუშაოს რუკა, სადაც მკაფიოდ იქნება ასახული პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობა (როგორც ეს უკვე გაკეთებული აქვს დაწესებულებას სწავლის შედეგების მიღწევის და კონკრეტული სასწავლო კურსების შესაბამისობის რუკით);
4. სასურველია, გაითვალისწინოთ უფრო პროაქტიული მიდგომა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებაზე მუშაობის დროს და მათი შემდგომი გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად;
5. სასურველია, შეიმუშაოთ სტუდენტის ინტერესების მიხედვით შერჩეული არჩევითი სასწავლო კურსები, რაც გააძლიერებს პროგრამით სტუდენტების კმაყოფილებას;

6. სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ დაკონკრეტდეს სტუდენტის დავალებები თითოეული კურსის მიხედვით, იმისათვის, რომ დაზუსტდეს თუ რა მოეთხოვებათ სტუდენტებს კონკრეტული კურსის ფარგლებში;
7. მეტი სიცხადისთვის სასურველია დაზუსტდეს დოკუმენტის სახეები, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის მტკიცებულებად;
8. სასურველია დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემა, რათა ხელი შეუწყოს მაგისტრანტების აქტიურ ჩართულობას აღნიშნულ ინიციატივებში;
9. სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს უნივერსიტეტის საინფორმაციო სისტემა არსებული პლატფორმის დახვეწით, განახლებების და მომხმარებლისთვის მარტივად გამოყენებადი რესურსების მიწოდებით;
10. სასურველია, გაუმჯობესდეს სტუდენტთა უკუკავშირის შეგროვების და ანალიზის სისტემა მათი ხელმძღვანელობის გამოცდილების შესახებ;
11. სასურველია გადაიხედოს ნაშრომებთან დაკავშირებული საკითხების დამტკიცების მექანიზმები, რათა პროცესი გამარტივდეს და უფრო მოქნილი გახდეს;
12. პროფესიული ზრდის და აკადემიური გარემოს გაუმჯობესების მიზნით სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ცალკეული დისციპლინების მიხედვით მიზნობრივი ტრენინგები;
13. სასურველია, ბიბლიოთეკამ შეიმუშაოს სასწავლო მოდულები ინფორმაციის მოძიების; საინფორმაციო წიგნიერების; აკადემიურ წყაროებზე მუშაობის და სხვა საკითხების შესახებ და ფართოდ წაახალისოს აღნიშნულ ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობა მათი საინფორმაციო წიგნიერების გაუმჯობესების მიზნით;
14. სასურველია, დაწესებულებამ გაზარდოს ფინანსური მხარდაჭერისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი, რათა უკეთესად აღჭურვოს პროგრამა საჭირო რესურსებით და ფინანსებით საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისა და პერსონალისთვის, განსაზღვროს მკაფიო კრიტერიუმები და პროცესები თანაბარი ხელმისაწვდომობის და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად;
15. სასურველია, დაწესებულებამ გაზარდოს სარეკლამო ხარჯები მეტი პოტენციური სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მოსაზიდად, რამაც შესაძლოა გააუმჯობესოს გრძელვადიან პერსპექტივაში პროგრამის მდგრადობა;
16. სასურველია, დაწესებულებამ განახორციელოს სტრუქტურირებული უკუკავშირის ციკლები, რათა უზრუნველყოს პერსონალთან და ფაკულტეტთან მიღწევების შეფასებების უკუკავშირის დაუყოვნებლივ გაზიარება. დაწესებულება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ შეფასების შედეგები სათანადოდ არის განხილული და გათვალისწინებული შემდგომი განვითარებისთვის. რეგულარული და ყოვლისმომცველი უკუკავშირი იძლევა მუდმივი გაუმჯობესების და ინსტიტუციურ მიზნებთან უკეთესად შესაბამისობის შესაძლებლობას. სასურველია, დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს დაინტერესებულ მხარეებთან სისტემატურ თანამშრომლობას, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებით, რათა ერთობლივად უზრუნველყოს საკითხების ეფექტურად გადაჭრა;
17. სასურველია, ყოვლისმომცველი და საფუძვლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად, მომავალი გარე შეფასებები ითვალისწინებდეს უფრო მეტ ექსპერტს. შემფასებლების რაოდენობის გაზრდა და შეფასებების სისტემატიურად ჩატარება გააუმჯობესებს უკუკავშირის ხარისხს. გარდა ამისა, უცხოელი ექსპერტის ჩართვა, თუ შესაძლებელია, უნივერსიტეტს შესთავაზებს ღირებულ საერთაშორისო პერსპექტივებს და დაეხმარება მათ შესაბამისობაში მოვიდნენ გლობალურ სტანდარტებთან და გამოავლინონ გასაუმჯობესებელი სფეროები, რაც შეიძლება არ იყოს თვალსაჩინო ადგილობრივი პერსპექტივიდან.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 19:00 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

დ. 07.06.13

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

დ. 07.06.13

